

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

## დირექტორის ეთიკის კოდექსი

(სამუშაო ვერსია)

### პროფესიული კომპეტენტურობა

1. დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.
2. დირექტორი იცავს საქართველოს კანონმდებლობასა და ამ კოდექსით დადგენილ ნორმებს.
3. დირექტორი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევასა და ამ პოლიტიკის შესაბამისი სიახლეებისა და ცვლილებების განხორციელებას.
4. დირექტორი თავისი საქმიანობის შესრულებისას სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითია.
5. დირექტორი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროფესიული სასწავლებლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.
6. დირექტორი იჩენს თანაბარ ყურადღებას სტუდენტის, მშობლის, სასწავლებელში დასაქმებული მასწავლებლის ან სხვა პირის მიმართ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სხვა ნიშნისა.
7. დირექტორი უზრუნველყოფს დისციპლინის დაცვას ისეთი მეთოდების საშუალებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სხვათა თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.
8. დირექტორი უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას.
9. დირექტორი არჩევს პერსონალს კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მიხედვით.
10. დირექტორი იცავს სტუდენტთან, მშობელთან, მასწავლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. დირექტორი ხელს უწყობს სასწავლებელში ინკლუზიური განათლების დანერგვას.

12. დირექტორი არ ეწევა სასწავლებელში რელიგიურ (გარდა იმ სკოლების სკოლის დირექტორებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.
13. დირექტორი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.
14. დირექტორი არ იყენებს მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.
15. დირექტორი უფრთხილდება და კეთილსინდისიერად განკარგავს სასწავლებლის ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ გამოყენებას.
16. დირექტორი არ ავრცელებს მცდარი ინფორმაციის შემცველ საჯარო განცხადებებს სასწავლებლის საქმიანობის ან/და სტუდენტის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თაობაზე.
17. დირექტორი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს დაპირისპირებულ მხარეთა აზრს და იღებს რბივქტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.
18. დირექტორი არ აყენებს სტუდენტს, მშობელს, მასწავლებელსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს რაიმე სახის შეურაცხყოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.
19. დირექტორი ზრუნავს მისი თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე.
20. დირექტორი ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად.
21. დირექტორი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით.

#### **მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა**

1. დირექტორი თანასწორად, პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.
2. დირექტორი თანამშრომლობს ყველა მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან, ითვალისწინებს მათ აზრებს სასწავლებლის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
3. დირექტორი ითავსებს მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიმძნელების გადასალახად და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად აწვდის თავის შენიშვნებსა და შეთავაზებებს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს.
4. დირექტორი ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს პროფესიულ განვითარებაში

5. დირექტორი უქმნის ყველა პირობას დაძვებ მასწავლებლებს სასწავლებლის გარემოში ინტეგრაციისთვის.
6. დირექტორი უზრუნველყოფს მასწავლებლების დროულად ინფორმირებას პროფესიული განათლების სფეროში სიახლეების, დამხმარე პროფესიული ლიტერატურისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ.
7. დირექტორი ხელს უწყობს მასწავლებლებს პროფესიული სტანდარტების მიხედვით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.

### **სტუდენტებთან ურთიერთობა**

1. დირექტორი ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება და დაეუფლოს თავის პროფესიას მაღალკვალიფიციურად.
2. დირექტორი ხელს უწყობს სტუდენტს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების განვითარებაში.
3. დირექტორი პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.
4. დირექტორი მაგალითს აძლევს და ეხმარება სტუდენტებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში.
5. დირექტორი მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.
6. დირექტორი ზრუნავს სტუდენტების ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოების და საკუთრების დაცვაზე სასწავლო-საწარმოო პროცესის დროს.

### **მშობლებთან ურთიერთობა**

1. დირექტორი ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასწავლო პროცესში და მათთან ურთიერთობას თავაზიანად და თანამშრომლობის ფორმით წარმართავს.
2. დირექტორი თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.